ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომის

ო ქ მ ი № 28

სხდომის ჩატარების დრო:

28 თებერვალი, 2024 წელი

სხდომის ჩატარების ადგილი:

რუსთაველის გამზირი №3.
ადგილობრივი თვითმმართველობის
შენობაში არსებული სხდომათა დარბაზი

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ოცდამერვე სხდომას თავმჯდომარეობდა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, ბატონი ირაკლი შენგელია.

ესწრებოდნენ: საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე, ბატონი გ.ბასილაძე, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე, ბატონი: თ.ნადირაძე, საკრებულოს წევრები: დ.მხეიძე, მ.ჩიხლაძე, ბ.მახარაძე, მ.ნიჟარაძე, ჯ.ბიბილეიშვილი, მ.ჭოხონელიძე, მ.სიმონიძე, ბ.ხამაშურიძე, ბ.ქებულაძე, თ.ჯუღელი, მ.რიჟამაძე, ა.კოპალეიშვილი, მ.კოსტავა, მ.გიორგაძე, კ.გურული, გრ.შუშანია, გ.კილაძე, ხ.არველაძე, გ.მანაგაძე, კ.გაბუნია, ქ.ხურციძე, რ.ქვაჩაკიძე, ნ.ბიბილეიშვილი, დ.ბახტაძე, თ.მესხი, დ.ფხაკაძე, ა.კოხრეიძე, ე.არჩაია.

სულ: 35 წევრიდან - 31 წევრი.

არ ესწრებოდნენ: საკრებულოს წევრები: ტ.ლილუაშვილი, ზ.მამასახლისი, ლ.შალამბერიძე, ნ.ჩიკვაშვილი.

სულ: 4 წევრი.

სხდომის მუშაობაში მონაწილეობდნენ: ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი, ბატონი ი.ხახალეიშვილი, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე, ბატონი დ.ერემეიშვილი, მერის მოადგილე, ქალბატონი თ.დახუნდარიძე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსი, ბატონი ი.ჟორჟოლიანი, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - სამდივნო განყოფილების უფროსი, ქალბატონი ც.პატარიძე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - იურიდიული განყოფილების უფროსი, ქალბატონი მ.სვინტრაძე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - მოქალაქეთა მიღებისა და საქმისწარმოების განყოფილების უფროსი, ქალბატონი მ.ავალიანი, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - ადმინისტრაციული განყოფილების უფროსი, ქალბატონი ნ.კაკაბაძე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - მედიასთან და საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების უფროსი, ქალბატონი თ.მელქაძე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - ადმინისტრაციული სამსახურის ხელმძღვანელი, ბატონი პ.ადამაძე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ხელმძღვანელი, ქალბატონი თ.ბერიშვილი, მერიის სამსახურებისა და საკრებულოს აპარატის სხვა პასუხისმგებელი მუშაკები, საინფორმაციო საშუალებათა და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები.

სხდომა გახსნა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ, ბატონმა ირაკლი შენგელიამ.

საკრებულოს მიმდინარე სხდომის დღის წესრიგის პროექტის წარმოდგენამდე სხდომაზე გაკეთდა **განცხადებები:**

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, ბატონი ირაკლი შენგელია: „მოგესალმებით ბატონებო. მივესალმები დამსწრე საზოგადოებას. მე მინდა, ერთ მნიშვნელოვან ფაქტზე გავამახვილო ყურადღება. საკრებულოს ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიამ ამ საკითხზე ძალიან ბევრი იშრომა, მათ შორის, ამ ადამიანებთან კომუნიკაციით. დღეს ჩვენ მივიღეთ გადაწყვეტილება, რომ ჩვენი სხდომების ტრანსლირება ადაპტირებული იყოს შშმ პირებისათვის. მე ვფიქრობ, ხელმისაწვდომობის კუთხით, მოქალაქეების ინფორმირების კუთხით, ეს არის პრეცენდენტი. ქუთაისის საკრებულოს სხდომის ტრანსლირებას დღეიდან მოახდენს შესაბამისი ადაპტირებული თარჯიმანი. მოქალაქეებს, რომლებსაც შესაბამისი საჭიროება გააჩნიათ, ეძლევათ საშუალება, მიიღონ ინფორმაცია საკრებულოს სხდომის მიმდინარეობისას. მე მინდა, მადლობა გადავუხადო საკრებულოს ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარეს, ბატონ მამუკა რიჟამაძეს, შესაბამისი კომისიის წევრებს. ამ პროცესში მონაწილეობა მიიღო აღმასრულებელმა ხელისუფლებამ და ამ საქმიანობისათვის მინდა თქვენ მადლობა გადაგიხადოთ. ჩვენს მოქალაქეებს, რომ ქონდეთ წვდომა საკრებულოს სხდომებთან, გადავდგით მნიშვნელოვანი ნაბიჯი. კიდევ ერთხელ გისურვებთ წარმატებებს. აქვე მინდა, გთხოვოთ საკრებულოს წევრებს, რომ მაქსიმალურად შევეცადოთ, რეგლამენტირებული იყოს ჩვენი საუბარი, რომ გაუადვილდეს თარჯიმანს თავისი საქმიანობა.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, ბატონი **გრიგოლ შუშანია** (პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“): „მივესალმები ჩვენს თანაქალაქელებს. ბატონო ირაკლი, მე მინდა, მოგახსენოთ ერთი საკითხის შესახებ. წინა მოწვევის საკრებულოში, ზუსტად მახსოვს თარიღი, 29 ნოემბერი იყო და პირადად მე „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ სახელით გავაჟღერე განცხადება საკრებულოს ანაზღაურებადი სტაჟირების პროგრამასთან დაკავშირებით. კომისიებში მოხდა ამ თემის განხილვა და მითხრეს, რომ ეს საკითხი არც აქტუალური იყო და მიახლოებული იყო სისულელესთან, მაგრამ რამდენიმე წლის შემდეგ, ბატონი ივანიშვილის პრემიერ - მინისტრმა განაცხადა, რომ ეს იყო ძალიან მნიშვნელოვანი. მე ნამდვილად მიმაჩნია, რომ ეს პროგრამა ნამდვილად საყურადღებოა. ქუთაისი ყოველწლიურად იცლება

მოსახლეობისგან. ამაზე ისიც მეტყველებს, რომ ქუთაისი მოსახლეობის რაოდენობის მიხედვით, მე-4 ადგილზე გადავიდა. სტატისტიკის დეპარტამენტის მონაცემებით, სამწუხაროდ, გარდაცვალების რიცხვი უფრო მეტია, ვიდრე შობადობის. ეს იმაზე მიანიშნებს, რომ ქვეყნიდან წასული ადამიანების დიდი ნაწილი არის ახალგაზრდა. ეს საკითხი აწუხებს ბევრ ჩვენს თანაქალაქელს. მე მესმის, რომ მთავრობა 2000 სტუდენტზე იწყებს ახალ საპილოტე პროგრამას. ძალიან მნიშვნელოვანია, 2000 სტუდენტის დასაქმება, მათ შორის, კერძო სექტორში. შეიძლება შევარჩიოთ რაღაც კატეგორია, საპილოტე პროგრამა დავიწყოთ და კრიტერიუმები გამოვყოთ. ეს ინიციატივა, რომელიც ადრე, წლების წინ გაჟღერდა ქუთაისის საკრებულოში, ახლახან გაჟღერდა პრემიერ - მინისტრის მიერ. ჩვენ ნუ დაველოდებით მთავრობის გადაწყვეტილებას და მოვიძიოთ თანხები. ჩვენი ვალია, ჩვენი ახალგაზრდები დავაკავოთ ამ ქალაქში. ეს ყველას ვალია და როგორც იტყვიან, ეს აქლემი ყველას კართან დაიჩოქებს. არ არსებობს ოჯახი, რომლის წევრი, მეზობელი, ნათესავი არ იმყოფებოდეს უცხოეთში სამუშაოდ გადახვეწილი და სამწუხაროდ, თაობები არიან უკვე ემიგრაციაში. საქართველოში, უამრავი სახლია გამოკეტილი. პერიფერიებში მხოლოდ ბავშვები და მოხუცები არიან დარჩენილი.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, ბატონი ირაკლი შენგელია: „მინდა გიპასუხოთ. პრემიერ - მინისტრის გადაწყვეტილებას ვგულისხმობ. საჯარო სამსახურებში გაჩნდა ფასიანი სტაჟირების შესაძლებლობა. გარდა ამისა, ჩვენ გვქონდა საშუალება, უნივერსიტეტებთან დადებული მემორანდუმის ფარგლებში მოგვეწვია დაინტერესებული სტუდენტები, რომლებიც გამოთქვამდნენ სურვილს, რომ საკრებულოში გაევლოთ სტაჟირება. ეს არის საკანონმდებლო დონეზე დასარეგულირებელი საკითხი, თუმცა მე შემიძლია გითხრათ, რომ გუშინ, მთავრობის სხდომაზე, პრემიერ - მინისტრის მიერ გაჟღერდა ინფორმაცია, რომ სტუდენტების სტაჟირება გახდება ფასიანი. ჩვენ გვაქვს საშუალება ავირჩიოთ შესაბამისი დარგობრივი კომისია, საკითხის ინიცირების შემთხვევაშიც, შესაბამის დარგობრივ კომისიაში ვიზრუნოთ საკანონმდებლო რეგულირების ფარგლებში. ადგილობრივ დონეზე არის შესაძლებლობა, რომ ამ საკითხში სხვა დარგობრივი კომისიაც ჩაერთოს, რადგან საჭიროება გაჩნდა. უშუალოდ ჩვენმა პოლიტიკურმა გუნდმა მიიღო გადაწყვეტილება. მე

შემიძლა გითხრათ, რომ საკრებულოში დღეს ორი ახალგაზრდაა დასაქმებული. ერთი, საკრებულოს საფინასო-საბიუჯეტო კომისიაში და მეორე, საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიაში. მათ შესაბამისი ანაზღაურებაც აქვთ, რომელსაც კანონმდებლობა განსაზღვრავს. თუ კიდევ რამე ფორმით მოგვეცემა ახალგაზრდების დასაქმების საშუალება, ამ საკითხს გავივლით ახალგაზრდულ მრჩეველთა საბჭოსთან ერთად, რომელსაც აქვს თავისი მოსაზრებები. მოვისმენთ მათ პოზიციას. დანარჩენი, განხილვის საგანია და ვფიქრობ, მიუღწეველი არაფერი არ არის. მადლობა მოსაზრებისთვის ბატონო გიგა."

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, ბატონი **გრიგოლ შუშანია** (პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა"): „ეს ეხება სხვადასხვა სფეროს წარმომადგენლებს: ეკონომისტებს, იურისტებს, არქიტექტორებს, მშენებლებს. ყველას, აქ, ამ სივრცეში ხომ ვერ მოვიყვანთ. უამრავი თანამშრომელია თვითმმართველობის შენობაში. თვითონ ვერ პოულობენ თანამშრომლები ადგილს. ჩვენ უამრავ არასამთავრობო ორგანიზაციას ვაფინანსებთ, ასევე, კერძო პირებს სხვადასხვა პროგრამის ფარგლებში. ამაზეა საუბარი, თავად, რომ ავარჩევინოთ სტაჟიორებს სასურველი სფერო."

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, ბატონი ირაკლი შენგელია: „მე უბრალოდ გითხარით, ამ საკითხის მიმართ ჩვენი პოლიტიკური გუნდის მზაობა და მგრძნობელობა, ასევე კონკრეტული ნაბიჯები. შემოგთავაზეთ, რომ სამუშაო ფორმატში, შესაბამის დარგობრივ კომისიაში, შეგვიძლია დავსხდეთ და ვისაუბროთ. საკითხს მივცეთ სამუშაო სახე და თუ რამ შესაძლებლობა გვექნება, მათ შორის, სამართლებრივ დონეზე ამ საკითხის დარეგულირებისა, წავიდეთ ამ პროცესისკენ. მეტიც, გითხარით, რომ ამ პროცესში მოქალაქეებიც ჩავრთოთ, ბიზნეს წრეებიც ჩავრთოთ, მათი შეხედულებები გავითვალისწინოთ. ბიზნესის საჭიროებების არაერთი კვლევა არსებობს. წინა წელსაც ჩავატარეთ ბიზნეს ფორუმი, სადაც უშუალოდ მათი საჭიროებებიდან გამომდინარე ვიზრუნეთ იმაზე, რომ მოწვეული ახალგაზრდები გაცნობოდნენ ბიზნესის კონკრეტულ მოთხოვნებს. ეს თემა არ არის ის საკითხი, რომელიც ერთი ინიცირების დონეზე უნდა გადაწყდეს. ამ პროცესში ყველა უნდა ჩავერთოთ."

მ ო ი ს მ ი ნ ე ს: **„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 28-ე სხდომის დღის წესრიგის პროექტის შესახებ“**

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ, ბატონმა ირაკლი შენგელიამ 2024 წლის 28 თებერვლის საკრებულოს ბიუროს სხდომის რეკომენდაციის გათვალისწინებით **(საკრებულოს სხდომის დღის წესრიგის პროექტს დაემატა მე-3 საკითხი)**, ცვლილებით, წარმოადგინა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 28-ე სხდომის **დღის წესრიგის** შემდეგი პროექტი:

1. „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - ადმინისტრაციული სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 25 მაისის №23 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

ბატონი იოსებ ხახალეიშვილი
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი

ბატონი პეტრე ადამაძე
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი
სტრუქტურული ერთეულის - ადმინისტრაციული
სამსახურის ხელმძღვანელი

2. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ზონების საზღვრების აღწერის, ტერიტორიულ ზონებსა და ქვეზონებში მოქცეული არასასოფლო–სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთების საწყისი საპრივატიზებო საფასურის განსაზღვრის შესახებ

ბატონი იოსებ ხახალეიშვილი
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი

ქალბატონი თინათინ ბერიშვილი
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი
სტრუქტურული ერთეულის - ეკონომიკური განვითარების,
ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის
მართვის სამსახურის ხელმძღვანელი

3. „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის საშტატო ნუსხის დამტკიცების, საკრებულოს აპარატის საჯარო მოსამსახურეთა და საკრებულოს პოლიტიკური თანამდებობის პირების თანამდებობრივი სარგოების ოდენობის

განსაზღვრის შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 18 იანვრის №23 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

ბატონი ირაკლი შენგელია
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარე

ბატონი ივანე ჟორჟოლიანი
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
აპარატის უფროსი

4. „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 31 იანვრის №260 განკარგულებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე

ბატონი ირაკლი შენგელია
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარე

ბატონი ივანე ჟორჟოლიანი
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
აპარატის უფროსი

5. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ დაფუძნების ცნობად მიღების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 3 დეკემბრის № 13 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

ბატონი ირაკლი შენგელია
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარე

ქალბატონი თეა ჯუღელი
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე

6. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ქალაქ ქუთაისის კულტურულ, სახელოვნებო, საგანმანათლებლო დაწესებულებათა გაერთიანებისათვის“ პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლოდ, თხოვების ფორმით, უვადო სარგებლობაში გადაცემის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ

ბატონი იოსებ ხახალეიშვილი
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი

ქალბატონი თინათინ ბერიშვილი
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი
სტრუქტურული ერთეულის - ეკონომიკური განვითარების,
ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის
მართვის სამსახურის ხელმძღვანელი

წარმოდგენილი დღის წესრიგის პროექტის შესახებ საკრებულოს წევრების მიერ მოსაზრებები არ გამოთქმულა.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ, ბატონმა ირაკლი შენგელიამ საკრებულოს 28-ე სხდომის დღის წესრიგის პროექტთან დაკავშირებით გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება. რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს 28 წევრმა. კენჭისყრის პროცედურას არ ესწრებოდნენ საკრებულოს წევრები: ტ.ლილუაშვილი, ზ.მამასახლისი, ა.კოპალეიშვილი, გ.კილაძე, ქ.ხურციძე, ლ.შალამბერიძე, ნ.ჩიკვაშვილი.

ღია კენჭისყრით, ერთხმად, **დ ა ა დ გ ი ნ ე ს:**

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 28-ე სხდომის **დღის წესრიგი** დამტკიცდეს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის, **ირაკლი შენგელიას** მიერ ზემოთ წარმოდგენილი რედაქციით, ცვლილებით.

მ ო ი ს მ ი ნ ე ს: დღის წესრიგის პირველი საკითხის - **„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - ადმინისტრაციული სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 25 მაისის №23 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“**

ზემოაღნიშნულ საკითხზე **დადგენილების** პროექტი წარმოადგინა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - ადმინისტრაციული სამსახურის ხელმძღვანელმა, ბატონმა **პეტრე ადამაძემ.**

(დადგენილების პროექტი
ოქმს თან ერთვის)

წარმოდგენილი პროექტის შესახებ საკრებულოს წევრების მიერ მოსაზრებები არ გამოთქმულა.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ, ბატონმა ირაკლი შენგელიამ დღის წესრიგის პირველ საკითხთან დაკავშირებით გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება. რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს 28 წევრმა. კენჭისყრის პროცედურას არ ესწრებოდნენ საკრებულოს წევრები: ტ.ლილუაშვილი, ზ.მამასახლისი, ა.კოპალეიშვილი, გ.კილაძე, ქ.ხურციძე, ლ.შალამბერიძე, ნ.ჩიკვაშვილი.

ღია კენჭისყრით (მომხრე: 20 წევრი, კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო: საკრებულოს 8 წევრმა: გრ.შუშანიამ, ხ.არველაძემ, გ.მანაგაძემ, კ.გაბუნიამ, რ.ქვაჩაკიძემ, ნ.ბიბილეიშვილმა, დ.ბახტაძემ, ა.კოხრეიძემ), **დ ა ა დ გ ი ნ ე ს:**

დღის წესრიგის პირველ საკითხზე მიღებულ იქნეს **დადგენილება** ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - ადმინისტრაციული სამსახურის ხელმძღვანელის, **პეტრე ადამაძის** მიერ წარმოდგენილი რედაქციით.

(„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - ადმინისტრაციული სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 25 მაისის №23 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ **დადგენილება № 90** ოქმს თან ერთვის)

მ ო ი ს მ ი ნ ე ს: დღის წესრიგის მე-2 საკითხის - **„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ზონების საზღვრების აღწერის, ტერიტორიულ ზონებსა და ქვეზონებში მოქცეული არასასოფლო–სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთების საწყისი საპრივატიზებო საფასურის განსაზღვრის შესახებ“**

ზემოაღნიშნულ საკითხზე **დადგენილების** პროექტი წარმოადგინა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის -

ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ხელმძღვანელმა, ქალბატონმა **თინათინ ბერიშვილმა.**

(დადგენილების პროექტი
ოქმს თან ერთვის)

ა ზ რ ი გ ა მ ო თ ქ ვ ე ს, დაისვა შეკითხვები, გაკეთდა განმარტებები:

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, ბატონი **გრიგოლ შუშანია** (პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“): „მე მაქვს შეკითხვა ფასებთან დაკავშირებით. მაინტერესებს, სტატისტიკა პირველ ზონაში, ცენტრალურ ნაწილში რა ქონება არის დარჩენილი გასაყიდად. მე, რა თქმა უნდა, მიმაჩნია, რომ პრივატიზაცია უნდა მოხდეს. ძალიან კარგია, რომ ქონება იყიდება. ჩემი დაკვირვებით, ქალაქში გასაყიდად ძალიან მცირე ნაწილი, ცოტა ობიექტი არის დარჩენილი, თითზე ჩამოსათვლელი. ამიტომ, მაინტერესებს ზუსტი ციფრი და სტატისტიკა და ხომ არ სჯობს, დარჩენილ ობიექტებს ფასი დავაკლოთ. ქალაქის მერის აზრიც მაინტერესებს ამ საკითხთან დაკავშირებით.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ხელმძღვანელი, ქალბატონი **თინათინ ბერიშვილი:** „ცენტრალურ ნაწილში ნამდვილად მცირე ნაწილი აქვს მუნიციპალიტეტს დარჩენილი საპრივატიზებოდ. ძირითადი საკუთრება არის ბოტანიკური ბაღის მიმდებარე ტერიტორიაზე. ზუსტი კვადრატულობა არ მახსოვს, მაგრამ დაახლოებით, 5-6 ათასი კვადრატი შეიძლება იყოს. ძირითადად ამ ნაწილში შეიძლება იყოს დარჩენილი კერძო საკუთრება. რაც შეეხება, შენობების პრივატიზებას, ეს სამხარაულის ექსპერტიზის დასკვნის საფუძველზე ხდება. საწყისი საპრივატიზებო ფასის განსაზღვრას კანონი გვავალდებულებს.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, ბატონი **გრიგოლ შუშანია** (პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“): „ქალაქის ცენტრს ვგულისხმობ, მოედანი, პუშკინის ქუჩა, აი, ამ ტერიტორიაზე თუ არის დარჩენილი შენობა. კონკრეტული შეკითხვა დავუსვი კონკრეტული სამსახურის უფროსს, რომელზეც პასუხი აი იასავით უნდა იცოდეს.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ხელმძღვანელი, ქალბატონი **თინათინ ბერიშვილი:** „შეგვიძლია, ინფორმაცია მოგაწოდოთ სხდომის დასრულების შემდეგ ქალაქის ცენტრალურ უბანში მდებარე ყველა შენობაზე, რომელიც მერიის საკუთრებაშია.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, ბატონი ირაკლი შენგელია: „ამ დადგენილების მიღების მიზანი, ერთი მხრივ, ნორმატიული ფასების დადგენა და საწყისი საპრივატიზებო საფასურია. ეს არის ამ დადგენილების მთავარი არსი, რომელიც ქონების შემოსავლის სახით ბიუჯეტის ერთ-ერთი მდგენელია. ფიზიკური და იურიდიულ პირი სწორედ ამ დადგენილების შედეგიდან გამომდინარე იხდის შესაბამისი ქონების გადასახადს. სწორედ ამიტომ დაავალდებულა ადგილობრივი თვითმმართველობა, საკრებულო შესაბამისმა კანონმდებლობამ, რომ ეს გადაწყვეტილება მიიღოს. მე, აბსოლუტურად ვეთანხმები იმ მოცემულობას, რომ რეალურად ფასი უნდა განსაზღვროს თავისუფალმა ბაზარმა. სწორედ ეს მიზანი აქვს აუქციონს, რომ კონკურენცია შედგეს და თქვენ დამეთანხმებით ბატონო გიგა, მიუხედავად იმისა, რომ სამართლებრივ ნაწილში არ მოქმედებს და ჩვენც არ გვიმსჯელია ამ ფორმაზე, კონკრეტული ქონების შეფასება ხდება სამხარაულის სახელობის ექსპერტიზის მიერ. მე ვერ გეტყვით, რომ სამხარაულის ბიურო ამოვა იმ ნორმატიული ფასიდან, რომელსაც დღეს ჩვენ დავამტკიცებთ. 2023 წლის სტატისტიკას თუ ავიღებთ, ვნახავთ, რომ იმაზე მეტად შეუფასებია სამხარაულის ეროვნულ ბიუროს, ვიდრე ეს ნორმატიული ფასი ყოფილა, ან ასევე ყოფილა შეფასება საპირისპირო შედეგით. მე თუ 1000 ლარს დავადებ პირველ ზონაში, ეს არ ნიშნავს იმას, რომ ბიზნესსექტორი და კონკრეტული თავისუფალი პრინციპები ამ ქონებას 1000 ლარად შეიძენს.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, ბატონი **გრიგოლ შუშანია** (პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“): „ბატონო ირაკლი, მე მარტივი

კითხვა დავსვი, ქალაქის ცენტრში რამდენი ობიექტია გასაყიდი. მივიღე პასუხი: „ახლა არ ვიცი და სხდომა, რომ დასრულდება, მოგაწვდით დაზუსტებულ ინფორმაციასო.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ხელმძღვანელი, ქალბატონი **თინათინ ბერიშვილი:** „ქალაქის ცენტრში საპრივატიზებო ობიექტი ფაქტობრივად დარჩენილი არ არის. დეტალურ ინფორმაციას სხდომის შემდეგ მოგაწვდით.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ, ბატონმა ირაკლი შენგელიამ დღის წესრიგის მეორე საკითხთან დაკავშირებით გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება. რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს 26 - მა წევრმა. კენჭისყრის პროცედურას არ ესწრებოდნენ საკრებულოს წევრები: ტ.ლილუაშვილი, ზ.მამასახლისი, გ.კილაძე, ქ.ხურციძე, რ.ქვაჩაკიძე, ლ.შალამბერიძე, დ.ბახტაძე, თ.მესხი, ნ.ჩიკვაშვილი.

ღია კენჭისყრით (მომხრე: 20 წევრი, კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო: საკრებულოს 6-მა წევრმა: გრ.შუშანიამ, ხ.არველაძემ, გ.მანაგაძემ, კ.გაბუნიამ, ნ.ბიბილეიშვილმა, ა.კოხრეიძემ), **დ ა ა დ გ ი ნ ე ს:**

დღის წესრიგის მეორე საკითხზე მიღებულ იქნეს **დადგენილება** ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ხელმძღვანელის, **თინათინ ბერიშვილის** მიერ წარმოდგენილი რედაქციით.

(„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ზონების საზღვრების აღწერის, ტერიტორიულ ზონებსა და ქვეზონებში მოქცეული არასასოფლო – სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთების საწყისი საპრი-ვატიზებო საფასურის განსაზღვრის შესახებ“ **დადგენილება № 91** ოქმს თან ერთვის)

მ ო ი ს მ ი ნ ე ს: დღის წესრიგის მე-3 საკითხის - **„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის საშტატო ნუსხის დამტკიცების, საკრებულოს აპარატის საჯარო მოსამსახურეთა და საკრებულოს პოლიტიკური თანამდებობის პირების თანამდებობრივი სარგოების**

ოდენობის განსაზღვრის შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 18 იანვრის №23 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

ზემოაღნიშნულ საკითხზე **დადგენილების** პროექტი წარმოადგინა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსმა, ბატონმა **ივანე ჟორჟოლიანმა.**

(დადგენილების პროექტი
ოქმს თან ერთვის)

წარმოდგენილი პროექტის შესახებ საკრებულოს წევრების მიერ მოსაზრებები არ გამოთქმულა.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ, ბატონმა ირაკლი შენგელიამ დღის წესრიგის მესამე საკითხთან დაკავშირებით გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება. რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს 25 - მა წევრმა. კენჭისყრის პროცედურას არ ესწრებოდნენ საკრებულოს წევრები: ტ.ლილუაშვილი, ზ.მამასახლისი, გ.კილაძე, გ.მანაგაძე, ქ.ხურციძე, რ.ქვაჩაკიძე, ლ.შალამბერიძე, დ.ბახტაძე, თ.მესხი, ნ.ჩიკვაშვილი.

ღია კენჭისყრით, ერთხმად, **დ ა ა დ გ ი ნ ე ს:**

დღის წესრიგის მესამე საკითხზე მიღებულ იქნეს **დადგენილება** ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსის, **ივანე ჟორჟოლიანის** მიერ წარმოდგენილი რედაქციით.

(„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის საშტატო ნუსხის დამტკიცების, საკრებულოს აპარატის საჯარო მოსამსახურეთა და საკრებულოს პოლიტიკური თანამდებობის პირების თანამდებობრივი სარგოების ოდენობის განსაზღვრის შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 18 იანვრის №23 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ **დადგენილება № 92** ოქმს თან ერთვის)

მ ო ი ს მ ი ნ ე ს: დღის წესრიგის მე-4 საკითხის **„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის**

მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 31 იანვრის №260 განკარგულებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე

ზემოაღნიშნულ საკითხზე **განკარგულების** პროექტი წარმოადგინა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსმა, ბატონმა **ივანე ჟორჟოლიანმა.**

(განკარგულების პროექტი
ოქმს თან ერთვის)

წარმოდგენილი პროექტის შესახებ საკრებულოს წევრების მიერ მოსაზრებები არ გამოთქმულა.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ, ბატონმა ირაკლი შენგელიამ დღის წესრიგის მეოთხე საკითხთან დაკავშირებით გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება. რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს 25 - მა წევრმა. კენჭისყრის პროცედურას არ ესწრებოდნენ საკრებულოს წევრები: ტ.ლილუაშვილი, ზ.მამასახლისი, გ.კილაძე, გ.მანაგაძე, ქ.ხურციძე, რ.ქვაჩაკიძე, ლ.შალამბერიძე, დ.ბახტაძე, თ.მესხი, ნ.ჩიკვაშვილი.

ღია კენჭისყრით, ერთხმად, **დ ა ა დ გ ი ნ ე ს:**

დღის წესრიგის მეოთხე საკითხზე მიღებულ იქნეს **განკარგულება** ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსის, **ივანე ჟორჟოლიანის** მიერ წარმოდგენილი რედაქციით.

(„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 31 იანვრის №260 განკარგულებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე“ **განკარგულება №268** ოქმს თან ერთვის)

მ ო ი ს მ ი ნ ე ს: დღის წესრიგის მე-5 საკითხის - **„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ დაფუძნების ცნობად მიღების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის**

მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 3 დეკემბრის № 13 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“

ზემოაღნიშნულ საკითხზე **განკარგულების** პროექტი წარმოადგინა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ, ქალბატონმა **თეა ჯუღელმა.**

(განკარგულების პროექტი
ოქმს თან ერთვის)

ზემოაღნიშნული საკითხის შესახებ დაისვა შეკითხვები, გაკეთდა განმარტებები:

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, ბატონი **კახა გაბუნია** (პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“): „სამწუხაროდ, საკრებულოს სხდომებზე ბოლო პერიოდში არ ვყოფილვარ. ბატონ სოსოსთან მაქვს შეკითხვა. თქვენ, ამასწინათ, ემიგრანტებთან დაკავშირებით გააკეთეთ განცხადება. თუ გიფიქრათ იმაზე, რომ ძალიან ბევრ ოჯახს ყავს ემიგრაციაში ერთი წევრი მაინც. უამრავი ადამიანია ემიგრაციაში და მათი ნაშოვნი ფულით, თუნდაც ამ დარბაზში, ბევრი სარგებლობს. მინდა ვიფიქრო, რომ როდესაც მარტო დარჩით საკუთარ თავთან ბატონო სოსო, ინანეთ თქვენი სიტყვები.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, ბატონი ირაკლი შენგელია: „რას გულისხმობთ, იქნებ დააკონკრეტოთ ბატონო კახა.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, ბატონი **კახა გაბუნია** (პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“): „როდესაც ემიგრანტების გამოცდილებაზე და იქაურ მაღალ ანაზღაურებაზე საუბრობდა ქალაქის მერი, ნაცვლად იმისა, რომ ემიგრაციის პროცესის შეჩერებაზე ფიქრობდეს, აცხადებს, რომ გავუშვათ ქვეყნიდან ჩვენი მოქალაქეებიო. ნაცვლად იმისა, რომ დაპირდეს მათ, აქ შევქმნით სამუშაო გარემოს და პირობებსო.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი, ბატონი **იოსებ ხახალეიშვილი:** „მოგესალმებით ყველას. სანანებელი მე ნამდვილად არაფერი მითქვამს. დარწმუნებული ვარ, რომ ემიგრაციაში მყოფი ადამიანები ძალიან დიდ გამოცდილებას მიიღებენ. რამდენიმე ადამიანი იყო ამერიკაში და ისევ დაბრუნდა უკან, სამშობლოში, რა თქმა

უნდა, მეტ ცოდნას და გამოცდილებას იძენს ის და სახელმწიფო დღეს მაქსიმალურად ბევრს აკეთებს თანამოქალაქეებისათვის.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარე, ქალბატონი **მარეხ ნიჟარაძე:** „ბატონო კახა, რა მორალი გაძლევთ ამის თქმის უფლებას. კაცს, რომელსაც აგური არ დაგიდევთ სახელმწიფოს მშენებლობაში. ხალხმა, რომელმაც მოქალაქეები საკუთარი სახლებიდან გაასახლა, თქვენ ლაპარაკობთ ამაზე? თქვენ შეგიძლიათ ილაპარაკოთ თქვენს მთავარსარდალზე. ბევრის უფლებას ნუ აძლევთ საკუთარ თავს.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, ქალბატონი **ანა კოხრეიძე** (პოლიტიკური პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“): „ქალბატონო მარეხ, ტყუილებსაც აქვს საზღვარი. მაშინ, როდესაც გელათია ჩამონგრეული, ამის შემდეგ, როგორ იღებთ ხმას?“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, ქალბატონი **მაია სიმონიძე** (პოლიტიკური პარტია „ქართული ოცნება“): „მე წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით მაქვს შეკითხვები. ვინაიდან, კომისიის წევრი არ ვარ და ვერ ვესწრები კომისიის სხდომებს, გამიჩნდა შეკითხვა და მეორე საკითხი - ემიგრაციასთან დაკავშირებით მინდა გამოვთქვა ჩემი მოსაზრება. ამ საკრებულოს ბევრი წევრი იყო ემიგრაციაში, ან - მათი ოჯახის წევრები, მათ შორის, ჩემი ოჯახის წევრიც და ღმერთმა ნუ ქნას, რომ ის არ დაბრუნდეს საქართველოში. ქვეყნიდან გასვლა სასურველი არაა, მაგრამ ვღებულობთ ამ გადაწყვეტილებას სიტუაციიდან გამომდინარე. მე მაინტერესებს, რა ხდება, თუ არ ხართ იმ პარტიის წევრი, რომლის საშუალებით შემოხვედით საკრებულოში და მაინც რჩებით ამ ფრაქციის წარმომადგენლად და ვინც დარჩა პარტიის წევრად, ისინი ტოვებენ ფრაქციას, მართლა გაურკვეველი ვითარება იქმნება, რაღაც კურიოზული სიტუაციაა და იქნებ ამიხსნათ, ქალბატონო თეა, საქმის არსი.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, ქალბატონი **თეა ჯუღელი:** „მოგესალმებით ქალბატონო მაია. საკანონმდებლო ცვლილებები აძლევს ბევრ თავისუფლებას საკრებულოს წევრებს, რომლებსაც სურთ, რომ ფრაქცია შექმნან. წერია 30-ე მუხლში, რომ ფრაქციის შექმნა

შეიძლება, როგორც პარტიულ, ისე არაპარტიულ საფუძველზე. თუმცა, თქვენი გაკვირვება არ არის პირველი. ეს არის კაზუსი, ასე რომ ვთქვათ. თავიდან გამიჭირდა მოცემულობაში გარკვევა, ვიდრე იქნება ერთი ფრაქცია იმ ფრაქციის წევრები სხვა ფრაქციას ვერ დააფუძნებენ. აქ მართლაც კურიოზული არის ის, რომ პირებმა ჯერ დატოვეს პარტია, მერე გაიწვიეს პირები, რომლებიც ამ პარტიაში იყვნენ. ჩავთვალოთ, რომ ეს არის წმინდა პოლიტიკური საკითხი, ამ შემთხვევაში, არჩევნებისთვის გამიზნული. ჩვენ დღესაც მივიღეთ ორი წევრის განცხადება ფრაქციის დატოვების შესახებ. მოცემულობა არის ასეთი, არის ერთი პარტია, არის ერთი ფრაქცია. ან ხარ იმ ფრაქციაში ან არა. აქედან გამომდინარე, დარჩა ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ 8 კაციანი კვოტით, თუმცა, ფრაქციის შექმნასთან დაკავშირებით, არც პარლამენტში არ არის პრეცენდენტი, რასაც გავეცანი პრაქტიკას, მგონი მსოფლიოში არ არის მსგავსი ანალოგი.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე, ბატონი **თეიმურაზ ნადირაძე:** „რატომ წუხხართ ქალბატონო მაია, თვითონ არ განიცდიან ამ პარტიის წევრები. ხომ ხედავთ, არც ესწრებიან საკითხის განხილვას.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, ბატონი **მიხეილ გიორგაძე** (პოლიტიკური პარტია „ქართული ოცნება“): „მინდა მოსახლეობას მივმართო. არ შეიძლება ყველაფერზე საუბარი. მოქალაქეებმა მისცა მათ ხმა. მოსახლეობამ უნდა შეხედოს რეალურად, რომ ესენი საუბრობენ არა იმიტომ, რომ საზოგადოების პრობლემები წარმოაჩინონ, არამედ, იმიტომ, რომ იხმაურონ. ქალაქის მერს და ხელისუფლებას, რომ მოუწოდებთ მორალისკენ, თითქოს წინა წლებში, თქვენი ხელისუფლების პირობებში არ იყო ქვეყნიდან გადინება. სტატისტიკას გადახედეთ. თავად, კონსტრუქციულობაზე მოგვიწოდებენ და თან ყვირიან ჩვენს პასუხებზე. იქნებ, ჩვენც გვაქვს საწინააღმდეგო აზრი. ყველა თქვენთაგანს ვადროვეთ სიტყვის დასრულება. თქვენგანაც იგივეს მოვითხოვთ.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, ბატონი **გრიგოლ შუშანია** (პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“): „ჩვენ საუბარი გვინდა საქმიან დიალოგში გადავიყვანოთ და თქვენ კამათს იწყებთ. ქალბატონო მაია, ყველას აწუხებს

ნამდვილად ეს საკითხი. აქ, უბრალოდ, ჩვენ უნდა ვისაუბროთ გამოსავლის გზებზე. ბატონი სოსო არ ესწრებოდა იმ სხდომას. ბატონო სოსო, მაშინ ფრაქციის თავმჯდომარე ვიყავი და საკრებულოს მივმართე ანაზღაურებად სტაჟირებასთან დაკავშირებით. კომისიებმა განიხილეს ეს თემა და მითხრეს, რომ ეს იყო სისულელე. პრემიერმა ამ პროგრამაზე თქვა, რომ კარგია, მნიშვნელოვანია და კი ბატონო, ამაზე ჩვენც გვქონდა საუბარი. ხომ არ შევქმნათ სამუშაო ჯგუფი, მე პირადად მზად ვარ ჩავერთო ამ საქმიან დისკუსიაში. ეს პროგრამა ახალგაზრდებისთვის დამოუკიდებლად დავიწყოთ ქუთაისში, ეს უბრალოდ ინფორმაციის სახით. ეს ყველას გვაწუხებს და დავიწყოთ საქმიანი თანამშრომლობა. ყველას აინტერესებს შემოსავალი და ახალგაზრდები გაჭირვებას გაურბიან ქვეყნიდან."

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, ბატონი ირაკლი შენგელია: „მეორეჯერ დაგთანხმდით ბატონო გიგა. მესმის, რომ ბატონი მერის გასაგონად თქვით, მაგრამ მერსაც მივაწვდენდით იგივე საოქმო გადაწყვეტილებით ხმას. აქ პოლემიკისთვის არ ვამბობ. მე ვფიქრობ, ერთმანეთს პატივი ვცეთ. გამოვთქვამთ ჩვენს აზრს, დისკუსიებში არ შევიდეთ, გაძლევთ იმის საშუალებას, რომ თქვენი აზრი დაასრულოთ. უბრალოდ, მართლა რაღაცას რომ იტყვით, მეც მიჩნდება სურვილი, რომ გიპასუხოთ. ბიძინა ივანიშვილიც ახსენეთ. ელექტრონულ პლატფორმას „ვიკილიკს" ხომ ენდობით, „ვიკიპედიას" ენდობით?"

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, ბატონი **გრიგოლ შუშანია** (პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა"): „მე გპასუხობთ. უნდა გადაამოწმოთ სხვა შესაბამისი წყაროები."

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, ბატონი ირაკლი შენგელია: „კი თუ არა?"

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, ბატონი **გრიგოლ შუშანია** (პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა"): „გაგეცით უკვე პასუხი".

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, ბატონი ირაკლი შენგელია: „ინფორმაციას სად ეძებთ? თქვენ „ვიკიპედიას" თუ ენდობით? მე შემიძლია

გითხრათ, მოსახლეობამ ეს ძალიან კარგად იცის. თქვენც, რომ გაეცნოთ სხვადასხვა წყაროებს, ფონდი „ქართუს“ მიერ 700 - ზე მეტი ღირშესანიშნაობის ძეგლია აღდგენილი.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ, ბატონმა ირაკლი შენგელიამ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება. რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს 24-მა წევრმა. კენჭისყრის პროცედურას არ ესწრებოდნენ საკრებულოს წევრები: ტ.ლილუაშვილი, ზ.მამასახლისი, გ.კილაძე, გ.მანაგაძე, ქ.ხურციძე, რ.ქვაჩაკიძე, ლ.შალამბერიძე, ნ.ბიბილეიშვილი, დ.ბახტაძე, თ.მესხი, ნ.ჩიკვაშვილი.

ღია კენჭისყრით (მომხრე: 20 წევრი; კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო: საკრებულოს 4-მა წევრმა: გრ.შუშანიამ, ხ.არველაძემ, კ.გაბუნიამ, ა.კოხრეიძემ), **დ ა ა დ გ ი ნ ე ს:**

დღის წესრიგის მეხუთე საკითხზე მიღებულ იქნეს **განკარგულება** ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარის, **თეა ჯუღელის** მიერ წარმოდგენილი რედაქციით.

(„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ დაფუძნების ცნობად მიღების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპა-ლიტეტის საკრებულოს 2021 წლის 3 დეკემბრის № 13 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ **განკარგულება №269** ოქმს თან ერთვის)

მ ო ი ს მ ი ნ ე ს: დღის წესრიგის მე-6 საკითხის- **„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ქალაქ ქუთაისის კულტურულ, სახელოვნებო, საგანმანათლებლო დაწესებულებათა გაერთიანებისათვის“ პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლოდ, თხოვების ფორმით, უვადო სარგებლობაში გადაცემის თაობაზე, ქალაქ**

ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“

ზემოაღნიშნულ საკითხზე **განკარგულების** პროექტი, 2024 წლის 28 თებერვლის ბიუროს სხდომის რეკომენდაციის გათვალისწინებით **(განკარგულების პროექტის პრეამბულიდან ამოღებულ იქნა საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 54-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტის „ე.ე“ ქვეპუნქტი; განკარგულების პროექტის პრეამბულაში ჩაემატა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის წერილობითი მომართვის ნომერი და თარიღი; განკარგულების პროექტის პირველი მუხლი გასწორდა რედაქციულად; განკარგულების პროექტის დანართის სათაურში არსებული ჩანაწერი მოყვანილ იქნა შესაბამისობაში ამ განკარგულების პროექტის სათაურთან. კერძოდ, დანართის სათაურში არსებული ჩანაწერი: „სასყიდლით, პირობებით, იჯარის ფორმით“, შეიცვალა ჩანაწერით: „უსასყიდლოდ, თხოვების ფორმით“)**, ცვლილებით, წარმოადგინა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ხელმძღვანელმა, ქალბატონმა **თინათინ ბერიშვილმა.**

(განკარგულების პროექტი
ოქმს თან ერთვის)

წარმოდგენილი განკარგულების პროექტის შესახებ საკრებულოს წევრთა მიერ მოსაზრებები არ გამოთქმულა.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ, ბატონმა ირაკლი შენგელიამ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება. რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს 24-მა წევრმა. კენჭისყრის პროცედურას არ ესწრებოდნენ საკრებულოს წევრები: ტ.ლილუაშვილი, ზ.მამასახლისი, გ.კილაძე, გ.მანაგაძე, ქ.ხურციძე, რ.ქვაჩაკიძე, ლ.შალამბერიძე, ნ.ბიბილეიშვილი, დ.ბახტაძე, თ.მესხი, ნ.ჩიკვაშვილი.

ღია კენჭისყრით (მომხრე: 20 წევრი; კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო: საკრებულოს 4-მა წევრმა: გრ.შუშანიამ, ხ.არველაძემ, კ.გაბუნიამ, ა.კოხრეიძემ), **დ ა ა დ გ ი ნ ე ს:**

დღის წესრიგის მეექვსე საკითხზე მიღებულ იქნეს **განკარგულება** ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - ეკონომიკური

განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ხელმძღვანელის, **თინათინ ბერიშვილის** მიერ წარმოდგენილი რედაქციით, ცვლილების გათვალისწინებით.

ცვლილება იხილეთ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 28 თებერვლის **№270 განკარგულების** პროექტში.

(„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ქალაქ ქუთაისის კულტურულ, სახელოვნებო, საგანმანათლებლო დაწესებულებათა გაერთიანებისათვის“ პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლოდ, თხოვების ფორმით, უვადო სარგებლობაში გადაცემის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ **განკარგულება №270** ოქმს თან ერთვის)

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ, ბატონმა ირაკლი შენგელიამ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 28-ე სხდომის დღის წესრიგით განსაზღვრული საკითხების განხილვის დამთავრებისა და მათთან დაკავშირებით, შესაბამისი გადაწყვეტილებების მიღების დასრულების გამო, საკრებულოს 28-ე სხდომა დახურულად გამოაცხადა.

ამით, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 28 - ე სხდომამ მუშაობა დაამთავრა.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

Irakli Shengelia

Digitally signed by Irakli Shengelia
DN: cn=Irakli Shengelia, serialNumber=PNOGE-60001013166, givenName=Irakli, sn=Shengelia, o=Citizen, c=GE
Date: 2024.06.18 11:53:36 +04'00'

ირაკლი შენგელია

ოქმი შედგენილია საკრებულოს აპარატის მეორადი
სტრუქტურული ერთეულის - სამდივნო განყოფილების
პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტის, თ.ნიქაბაძისა
და ამ განყოფილების უფროსის, ც.პატარიძის მიერ.